

შპს გობი

ს/კ 415590934

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სარჩევი

#	შინაარსი	გვ
1	ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ	3
2	ანგარიშგება შემოსავლებისა და მოგება ზარალის შესახებ	4
3	ანგარიშგება ნაღდი ფულის მოძრაობის შესახებ	5
4	ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ	6
5	ახსნა განმარტებითი შენიშვნები	7-14

**ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)**

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
აქტივები:				
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	1	106742	155992	294871
სავაჭრო მოთხოვნები	2	661177	676813	253671
სხვა მოთხოვნები		1331	1554	471
სასაქონლო-მატერიალური მარაგები				
მზა პროდუქცია				
სხვა მარაგები	3	20733	24529	60391
სულ მიმდინარე აქტივები		789983	858888	609404
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	2435041	3213104	2157049
არამატერიალური აქტივები		75	156	237
საგადასახადო აქტივი				
სულ გრძელვადიანი აქტივები		2435116	3213260	2157286
სულ აქტივები		3225099	4072148	2766690
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი:				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
ბანკის ოვერდრაფტი				
სავაჭრო ვალდებულებები	5	372819	189727	68561
გადასახდელი პროცენტები				
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		74427	71745	110985
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	6	34778	108080	
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ		125290	33550	17300
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებულებები		8851	3682	1203
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		616165	406784	198049
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ბანკის სესხი	7		732305	
გადავდებული მოგების გადასახადი				
ფინანსური იჯარის ვალდებულებები				
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები		616165	1139089	198049
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		2608934	2933059	2568641
სულ საკუთარი კაპიტალი		2608934	2933059	2568641
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3225099	4072148	2766690

შპს „გობი“ ს/კ 415590934
დირექტორი: პ. აბესაძე



მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (ლარი)

	შენიშვნა	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
		2023	2022
ნეტო ამონაგები		1 685 832	3 850 872
საქონლის გაყიდვიდან		23 496	
მომსახურების გაწევიდან	1	1 662 336	3 850 872
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა			
შემოსავალთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	2	(1 122 758)	(2 152 271)
საერთო მოგება		563 074	1 698 601
სხვა შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	3	(319 273)	(332 819)
ცვეთა და ამორტიზაცია	3	(3 035)	(2 466)
საპროცენტო შემოსავალი:			
საპროცენტო ხარჯი :		(60 033)	(34 283)
იჯარის ხარჯი			
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	4	(95 261)	(124 347)
სულ საოპერაციო ხარჯები		(477 602)	(493 915)
საოპერაციო მოგება		85 472	1 204 686
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	5	3 123	118 625
მიღებული დივიდენდები			
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული წმინდა შემოსავალი/ზარალი		(370 658)	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	6	8 774	16 339
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		(273 289)	1 339 650
მოგების გადასახადი		(5 573)	(146 285)
მოგება/(ზარალი)		(278 862)	1 193 365
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)			
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		2 933 059	2 568 641
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(45 263)	(828 947)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		2 608 934	2 933 059

შპს „გოხი“ ს/კ 415590934

დირექტორი: პ. აბესაძე



ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)		
	2023	2022
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში:	155992	294871
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	1935114	3450201
სხვა მიღებული საოპერაციო შემოსავალი		
შესყიდულ საქონელზე გადახდილი ფულადი სახსრები	-279157	-572166
თანამშრომლებისთვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	-456905	-562845
მომწოდებლებზე დაბრუნებული თანხა		-4600
დღგ და სხვა გადასახადები	-355065	-596841
გაწეულ მომსახურებაზე გადახდილი ფულადი სახსრები	-280465	-664516
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	719514	1344104
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
მანქანადანადგარის გაყიდვის შედეგად მიღებული ფულადი სახსრები	282902	
მანქანადანადგარების შეძენა		-1318018
საოფისე ფართის შეძენა		
სესხის დაბრუნება	-1018088	-170227
პროცენტის დაბრუნება	-58125	-34283
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	-73797	-178424
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
ნასესხები სახსრების მიღება	228246	1146943
ფინანსური იჯარით გათვალისწინებული ვალდებულების დაფარვა		
ნასესხები სახსრების გადახდა		
გაცემული დივიდენდი	-43000	-787500
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		
შემოსავალი კურსთაშორის სხვაობიდან	-4707	-25027
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების წმინდა ზრდა /(შემცირება)	106742	155992

შპს „გობი“ ს/კ 415590934

დირექტორი: პ. აბესაძე



კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)				
	საწესდებო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით			3076548	3076548
წლის მთლიანი სრული შეოსავალი				1510032
გაცემული დივიდენდი				1838377
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			2768203	2748203
წლის მთლიანი სრული შეოსავალი				1864474
გაცემული დივიდენდი				1922712
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			2689965	2689965
წლის მთლიანი სრული შეოსავალი				182138
გაცემული დივიდენდი				909049
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			1963054	1963054
წლის მთლიანი სრული შეოსავალი				1590282
გაცემული დივიდენდი				984695
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			2568641	2568641
წლის მთლიანი სრული შეოსავალი				1193365
გაცემული დივიდენდი				828947
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			2933059	2933059
წლის მთლიანი სრული შეოსავალი				-278862
გაცემული დივიდენდი				45263
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			2609389	2608934

შპს „გოხი“ ს/კ 415590934

დირექტორი: პ. აბესაძე



ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1 შ.პ.ს. „გოზი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად. დარეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2013 წლის 13 ივნისს. ს.ნ. 415590934.

კომპანიის დამფუძნებელი პლატონ აბესაძე პ.ნ. 54001003433

კომპანიის დირექტორი პლატონ აბესაძე პ.ნ. 54001003433

იურიდიული და ფაქტიური მისამართი: საქართველო, ჭიათურა ნინოშვილის ქუჩა #6, ბ#16

კომპანიის საწესდებო კაპიტალი არგააჩნია

1.2 კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- მომსახურება (მანგანუმის მადნის მოპოვება და გადამუშავება)
- დამხმარე საქმიანობას წარმოადგენს სატრანსპორტო მომსახურების გაწევა

1.3 საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს, მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.

1.4 არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5 საწარმოს არ გააჩნია ფილიალები.

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 კომპანიის მიერ, 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება მცირე და შასუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საეთაშორისო (ფასს მსს-ს) სტანდარტის შესაბამისად.

2.2 კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი. უცხოური ვალუტა აღიარებულია ტრანზაქციის თარიღით არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვება.

2.3 კომპანია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადავიდა 2018 წლის პირველი იანვრიდან.

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადასვლის შემდეგ არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების

მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

2.5 კომპანიის მიერ წარმოდგენილი 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის შესაბამისად.

2.6 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეული იქნა.

2.7 მოგების გადასახადი. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

2.8 კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულების მოდელით.

2.9 გაცემული დივიდენდები კლასიფიცირებულია, როგორც ფინანსური ოპერაციები.

2.10 კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულებების მოდელს. ხოლო ბალანსში ასახულია ცვეთის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების რეალიზაციით წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიღებულ საფასურსა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკაცია. თუ ამგვარი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს აქტივის (აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც წარმოადგენს უდიდესს აქტივის რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების შემთხვევაში აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ სიდიდით, რითაც იგი აღემატება ამ აქტივის გადაფასების რეზერვს კაპიტალში.

2.11 შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით:

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

- ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები, ხარჯები და მოგება-ზარალი აისახება ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით.

2.12 საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს, საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით).

2.13 სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება იანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

2.14 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.15 სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავლებში ან სხვა ხარჯებში.

2.16 ზანკის სესხები, საპროცენტო ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. ახსნა-განმარტებები

3.1 ფინანსური მდგომარეობის შესახებ ახსნა-განმარტებები.

3.1.1 ფულადი სახსრები.

შენიშვნა 1

დასახელება	2023 წ	2022 წ
ნაღდი ფული საღაროში	29684	4374
ფულადი სახსრები ზანკის ანგარ.	77058	151618
სულ ფულადი სახსრები:	106742	155992

კომპანიას საბანკო ანგარიშები (მიმდინარე ლარში და სავალუტო) გახსნილი აქვს თიბისი და საქართველოს ბანკებში, არარეზიდენტ ბანკებში ანგარიშები არ აქვს.

3.1.2 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

შენიშვნა 2

დასახელება	2023 წ	2022 წ
მოთხოვნები მიწ. და მომსახ.	661177	676813
მოთხოვნები პერსონალთან	0	0
მომწ. გადახდილი ავანსები.	1331	1554
სულ მოთხოვნები და წინასწარ გადახდები.	662508	678367

2023 წელს კომპანიის სავაჭრო მოთხოვნების 41% ფორმირებულია ძირითადი საქმიანობიდან. (მომსახურება-მანგანუმის ნედლეულის მოპოვება, გადაზიდვა, გამდიდრება). დებიტორული დავალიანების დარჩენილი ნაწილი 59% წარმოადგენს დამატებითი საქმიანობიდან (სატრანსპორტო მომსახურების გაწევა) მისაღებ თანხებს.

3.1.3 სასაქონლო მატ. მარაგები

შენიშვნა 3

დასახელება	2023 წ	2022 წ
მასალები და ნედლეული	7082	8855
მატერიალურად პასუხისმგებელი პირები	4386	5382
საწვავ-საცვები მასალები	9266	10292
სხვა		
სულ მარაგები	20734	24529

მასალებისა და ნედლეულის ნაშთი შედგება საექსპლუატაციო სამუშაოებისათვის განკუთვნილი მასალებისაგან. მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე არსებული 4386 ლარი ნაშთი ძირითადად შეადგენს საწვავის ნაშთებს, საწვავ-საცვები მასალები ნაშთი 9266 ლარი მოიცავს დიზელისა და ბენზინის ტიპის საწვავის ნაშთებს.

3.1.4 ძირითადი საშუალებები

შენიშვნა 4

თვითღირებულება	ნ. 31,12,23	შემოსვლა	გასვლა	ნ.31,12,22
მიწის ნაკვეთები	24616	0	0	24616
შენობა	0	0	0	0
ნაგებობები	0	0	0	0
მსუბუქი ავტომობილები	43270	0	12331	55601
ძაღობანი მანქანები და მოწყობილობები	2508092	0	674728	3182820
ოფისის აღჭურვილობა	5926	492	0	5434
სატრანსპორტო საშუალებები	256547	0	0	256547
სპეციალური ინსტრუმენტები	66412	309	120	66223
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10199	0	0	10199
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	63	0	0	63
ლიზინგით აღებული ქონება	0	0	0	0
სულ ჯამი	2915125	801	687179	3601503

ცვეთა	ნ. 31,12,23	ცვ. დარიცხვა	ცვ. ჩამოწერა	ნ.31,12.22
შენობა	0	0	0	0
ნაგებობები	0	0	0	0
ძაღობანი მანქანები და მოწყობილობები	347622	71868	0	275754
ოფისის აღჭურვილობა	2202	397	0	1805
სატრანსპორტო საშუალებები	95023	12282	0	82741
მსუბუქი ავტომობილები	19170	1736	0	17434
სპეციალური ინსტრუმენტები	8375	3862	0	4513
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7650	1530	0	6120
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	42	10	0	32
ლიზინგით აღებული ქონება	0	0	0	0
სულ ჯამი	480084	91685		388399
საბალანსო ღირებულება.	2435041	61929		3213104

2023 წლის ბოლოს კომპანიას გააჩნია:

- მიწის ნაკვეთები არასასოფლოსამურნეო ქ. ჭიათურაში საჩხერის გზატკეცილი # სულ 1003 კვ.მ. და ჭიათურა, სოფელი მღვიმევი 2400 კვ.მ სასოფლოსამურნეო მიწა.

-სატრანსპორტო საშუალებები სატვირთო და სპეც ავტომობილები სულ 11 ერთეული

- ძაღობანი მანქანები და მოწყობილობები 6 ერთეული მუხლუხა ექსკავატორი და 1 რთეული ლაფეტი.

3.1.5 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

შენიშვნა 5

დასახელება	2023 წ	2022 წ
სავაჭრო ვალდებულება	372819	189727
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.	372819	189727

კომპანიის ვალდებულებები წარმოშობილია ძირითადი საქმიანობიდან, (მანგანუმის მოპოვებისა და გამდიდრებისათვის), კომპანიას 2023 წლის 372819 ლარის ვალდებულებიდან ძირითად ნაწილს შეადგენს მანგანუმის ნედლიმადნის გამდიდრების მომსახურების ვალდებულება 10000 ლარი, დიზელის ტიპის საწვავის ვალი 185081 ლარი, სამთომინაკუთვნებიდან ნედლეულის

ჩამოტანის ვალი 1010 ლარი და ტექნიკის რემონტზე გაწეული მომსახურების ვალდებულება 160337 ლარი, ოფისის იჯარის ხარჯი 8750.

3.2 შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგება-ზარალის შესახებ ახსნა განმარტება

3.2.1 ამონაგები

შენიშვნა 1

დასახელება	2023 წ	2022 წ
მომსახურებიდან ამონაგები	1662336	3850872
საქონლის გაყიდვიდან ამონაგები	23496	
ამონაგები სულ	1685832	3850872

2023 წელს მომსახურებიდან ამონაგები ძირითადად 72 % ფორმირებულია მანგანუმის მადნის მოპოვებასა და გადამუშავების შედეგად მიღებული შემოსავლებიდან, დარჩენილი ნაწილი ფორმირდება დამხმარე საქმიანობიდან (სატრანსპორტო/სატვირთო მომსახურებიდან).

3.2.2 შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები

შენიშვნა 2

დასახელება	2023 წ	2022 წ
შრომის ანაზღაურება	382506	405823
ტრანსპორტირების ხარჯები	2542	22155
საწვავის ხარჯი	310495	955330
იჯარის ხარჯი	3559	9386
ქიმიური ანალიზი ხარჯი	508	966
კარიერის პროექტირების ხარჯები	0	1087
ტექნიკის მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	174829	229234
ცვეთა და ამორტიზაცია	88731	82281
დაცვა გაცილების ხარჯი	32713	42355
მომსახურება მადნის გამდიდრებაზე	119903	403654
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	6972	0
სულ მომსახურების თვითღირებულება	1122758	2152271

2022 წელს კომპანიის მიერ გაწეული საერთო ხარჯების 79-80% დაკავშირებულია და მიეკუთვნება მის ძირითად საპროფილო პირდაპირ ხარჯებს, ხოლო 2023 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 70-71%-ია.

3.2.3 საოპერაციო ხარჯები

შენიშვნა 3

დასახელება	2023 წ	2022 წ
ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურება	319274	332819
ქონების და სხვა გადასახადის ხარჯი	28104	27411
ადმინისტრაციული ძრ. საშუალებების ცვეთა	3035	2466
სულ	350413	362696

- კომპანიის ადმინისტრაცია მოიცავთ ცხრა დასაქმებულ თანამშრომელს.
- ცვეთის ხარჯი მოიცავს ოფისის აღჭურვილობისა და მსუბუქი ავტომობილების ცვეთის ხარჯს.

3.2.4 ადმინისტრაციული ხარჯები

შენიშვნა 4

დასახელება	2023 წ	2022 წ
ბანკის მომსახურების	3419	8716
საწვავის ხარჯი	9048	13695
დაზღვევის	36729	43243
სახელმწიფო სერვისების ხარჯი	120	1262
შრომის უსაფრთხოების მომსახურების ხარჯი	1008	6378
გპს მომსახურების ხარჯი	1464	1376
ავტოტექ დატვალიერების ხარჯი	413	162
მცირე ფასიანი ძირ. საშუალებების ხარჯი	120	7203
საპენსიო შენატანი	14036	14901
კომუნიკაციის ხარჯები	801	
სულ	67158	96936

3.2.5 არასაოპერაციო შემოსავალი/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან

შენიშვნა 5

დასახელება	2023 წ	2022 წ
მოგება სავალუტო ოპერაციიდან	15793	163291
ზარალი სავალუტო ოპერაციიდან	(12 670)	(44 666)
სულ არასაოპერაციო შემოსავალი/ზარალი	3 123	118 625

3.2.6 სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/ზარალი ძრ. საშუალების რეალიზაციიდან

შენიშვნა 6

დასახელება	2023 წ	2022 წ
ძრ. საშუალების რეალიზაციიდან ამონაგენი	316402	
ძრ. საშუალების ნარჩენი საბალანსო ღირებულება	(687 060)	
სულ არასაოპერაციო შემოსავალი/ზარალი	(370 658)	-

3.2.7 სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები

შენიშვნა 7

დასახელება	2023 წ	2022 წ
შეოსავალი დაზღვევის ანაზღაურებიდან	10296	16539
საქველმოქმედო ხარჯები		
სამეურნეო პირგასამტებლოები	(1 323)	
ადმინისტრაციული ჯარიმები	(200)	(200)
სულ არასაოპერაციო ხარჯი	8 773	16 339

4.1. ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ

კომპანია საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსური რისკებს:

- საკრედიტო რისკი: შესაძლებლობა, რომ დამკვეთი მთლიანად არ გადაიხდის შესრულებული სამუშაოს საფასურს ან ნაწილს არ გადაიხდის დროულად, რაც შესაბამისად გამოიწვევს კომპანიისათვის ზარალს. - ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას შეიძლება არ გააჩნდეს ან ვერ შეძლოს ფულადი სახსრების მოზიდვა, საჭიროების შემთხვევაში და, შესაბამისად, შეექმნას სირთულეები ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებისას.

-სავალუტო რისკი: უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს. რომელიც გულისხმობს უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკს.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 15 ნოემბერს.